უკან დაბრუნება (/ka/document/search?query=&geo=on&query_target=title&type=main&group=&issuer=&number=20-80&signing_date_from%5Bdate%5D=&signing_date_to%5Bdate%5D=&registration_code=&publishing_date_from%5Bdate%5D=&publishing_date_to%5Bdate%5D=&status=&additional_status=&op=%E1%83%AB C1G9NXf_Gcmre_OLK3Rk3L969EGUm66t9mSqdpno77Q&form_token=Sx6jzp131C9i35SC9tkGccj_ojq4eglG5zxEtftq1K4&form_id=_document_search_form)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №4-14

2016 წლის **19** თებერვალი

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელთა თანამდებობის დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2015** წლის **4** აგვისტოს **№20-80** დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელთა თანამდებობის დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 აგვისტოს № 20-80 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge (http://www.matsne.gov.ge/), 05/08/2015, სარეგისტაციო კოდი: 040030000.35.101.016192) და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორს მოეთხოვება:

ა) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა.ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ა.ბ) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" ;

ა.გ) საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი";

ა.დ) საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ";

ა.ე) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი";

ა.ვ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-88 დადგენილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ";

ა.ზ) საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ".

ბ) საგანმანათლებლო ხარისხი: სავალდებულო – მაგისტრი ან მაგისტრთან გათანაბრებული;

გ) პროფესია/სპეციალობა: სავალდებულო (ერთ-ერთი მაინც) – საჯარო მმართველობა, სამართალმცოდნეობა, უმაღლესი სამედიცინო განათლება ან უმაღლესი განათლება ჯანდაცვის მენეჯმენტში;

დ) სამუშაო გამოცდილება: სავალდებულო - არანაკლებ 5 (ხუთი) წლის სამუშაო გამოცდილება. მენეჯერის პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი სამუშაო გამოცდილება. სასურველია გააჩნდეს სამედიცინო სფეროში მუშაობის გამოცდილება;

ე) ენების ცოდნა:

ენა	წერითი უნარები	მეტყველება
ე.ა) ქართული (სავალდებულო)	ძალიან კარგი	ძალიან კარგი
ე.ბ) ერთ-ერთი უცხო ენა (სავალდებულო)	ძალიან კარგი	ძალიან კარგი

ვ) კომპიუტერული პროგრამების ცოდნა: სავალდებულო – Microsoft Office Word – (ძალიან კარგი); Microsoft Office Excel – (ძალიან კარგი);

ზ) დამატებითი მოთხოვნები: ანალიტიკური აზროვნების უნარი; ორგანიზებულობა და დავალებების პრიორიტეტებად დაგეგმვის უნარი; პასუხისმგებლობის გრძნობა; მოწესრიგებულობა; დეტალებზე ორიენტირებულობა; დროის ეფექტურად მართვის უნარი; გუნდის მართვისა და გუნდურად მუშაობის უნარი; სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი; მოლაპარაკების წარმოების უნარი; ეფექტური კომუნიკაციის უნარი; შემჭიდროებულ ვადებში მუშაობის უნარი; გადაწყვეტილების მიღების უნარი.".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" 2013-2016, ყველა უფლება დაცულია.

დამუშავებულია AzRy©LTD (http://www.azry.com)-ს მიერ